

გაზეთის ფასი

თფილისში და გარეშე ადგილებში: მაგზავნით	მაგზავნითა:
ერთის წლისა — 7 მან.	— — — 6 მან.
ნახევრის წლისა — 4 —	— — — 3 — 50 კ.
სამის თვისა — 2 — 50 კ.	— — — 2 —
ერთის თვისა — 1 —	— — — 75 კ.
საღვე ერთის ნომრისა	— — — 15 კ.

# ქრონოსი

ხალის-მოწარა მიიღება:

თფილისში — „დროების“ რედაქციის კანტორაში, სულაძის ქუჩის და კაპ. სტამბაში, ხანის ქუჩაზე, შატუნის სახლში.  
 თფილისის გარეშე მცხოვრებთათვის — დრესი: В. П. Паша. В контору редакції грузинской газеты „ВРЕМЯ“.  
 ქუთაისში — ბ. ქალანდარიშვილთან (სასულიერო სასწავლებელში) და ლ. ლოლუასთან მაგარის ქუჩაზე ხოჯაშვილის სახ.

აქტორს ორი თვის განმავლობაში შეუძლია უკანე მიიღოს თავის ხარჯით სტატია, რომელიც გამოგზავნილი იყო „დროებაში“ დასაბეჭდად, მაგრამ, რომლისმე მიზეზისა გამო, არ დაბეჭდა.  
 თუ აუცილებელი საჭიროება მოითხოვს, რედაქცია შეამოკლებს, გამოგზავნილ სტატიასა და ისე დაბეჭდს გაზეთში.

## საკრძალურობა და სალიტერატურო გაზეთი.

წელიწადი მთავრდება.

### ხალის-მოწარა „დროებაში“ შეიძლება

თფილისში — „დროების“ რედაქციის კანტორაში, მედიკიშვილის და კაპ. სტამბაში, ხანის ქუჩაზე, ნ. შატუნის სახლში.

ქუთაისში — მაგარის ქუჩაზე ქალანდარიშვილთან (სასულიერო სასწავლებელში) და ლ. ლოლუასთან.

თფილისის და ქუთაისის გარეშე მცხოვრებთა შემდეგი ადრესით შეუძლიათ დაიბარონ გაზეთი: В. П. Паша. В контору редакції грузинской газеты „ВРЕМЯ“, при типографии Мелникова и К-о.

ხალ-მოსაწარი ფასი:

	მაგზავნით:	მაგზავნით:
	მან. კაპ.	მან. კაპ.
ერთის წლისა თფილისში და გარეშე ადგილებში	6	7
ნახევრის წლისა	3 50	4
სამის თვისა	2	2 50
ერთის თვისა	75	1

შინაარსი:

რედაქციის განცხადებაები.— მომხმარებელი და მწარმოებელი საზოგადოებები (ასოციაციები). მისი ამბები.— ტელეგრაფები.— უცხო ქვეყნები:— საფრანგეთი, — ინგლისი, — ბერმანია. — საქართველო:— წერილი ამბები.— რუსეთი:— წერილი ამბები.— ნარევი. ბიბლიოგრაფიული განცხადებაები.

შეკრები: „ქალის შრომა“ — მოთხრობა შელარესკისა.

### მომხმარებელი და მწარმოებელი საზოგადოებები

შვედლ საზოგადოებას ორ გვარი წევრები შეადგენენ; ყოველი საზოგადოება შეიძლება

## ქალის შრომა

(შელარესკი მოთხრობა)

ჩვენ პროვინციულ ქალაქში იყო მკაცრი გამოძიება ისტალინის ქალის თავის-მოკვლის მიზეზისა, მაგრამ ვერაფერი ვერ შეიტყეს, იმის გარდა, რომ იმან დარიშხანით მოიწაღა თავი; ეს ექიმებმაც შეამოწმეს და ზედ დაუმატეს „ქვეყნის შემლილობის გამო.“ მე, სულის გამოძიებელსა, არ ვიცოდი-რა მექნა, როცა ამ საქმეს ვიხიებდი. შესაძლებელი არ იყო, რომ ისტალინის ქალს სულ უმიზეზოთ მოეკლა თავი. თავის მოკვლა— ისეთი საქმეა, რომლის გაბედვას ვერ მოახერხებს კაცი, რომელიც მხიარულად და უდარდლოდ შეჰყურებს ცხოვრებას; ადამიანი, რომელიც თავის მოკვლას ჰბედავს, უეჭველია, ისეთ მდგომარეობაშია, რომ თავის დახსნის იმედი არა აქვს.

ისტალინის ქალმა თავის ოთახში მოიკლა თავი. სხანდა, რომ უკანასკნელ წამს ის ძალიან შეწყურებული უნდა ყოფილიყო. იმას ამოვრჩია ისეთი დრო, როდესაც არვის შინაურთავანს არ შეეძლო ამ საქმის დაშლა. პოლზე, სხვა და სხვა ადგილებზე, მეტადრე ლოგინთან, იყო გულის რევის ნიშნები და გრაფინის ნამტკრებები. ზეამი მისი იყო საშავლად დარღობილი, სახე დაღვრემილი, ასე გვეგონებოდა-რადაცა აზრები იწუხებდნენ. სტოლზე იბოვნეს იმის საკუთარი ნაწერი წერილი დედასთან, რომელშიაც ესაღმებოდა მთელს სა-

„დროების“ რედაქცია უმოკრილა. სად სთხოვს იმ ვარსადალ ხალის-მოწარალებს, რომელთაც ჯერაც არ შემოუბრუნებიათ გაზეთის ფული, რაც შეიძლება მალე შემოიტანონ.

ორ ნაწილად გაჰყავს კაცმა: ერთი ნაწილი ამ საზოგადოებისა მუშაობს, აწარმოებს, იმას მოჰყავს ყოველგვარი მოსავალი, ხნავს, სთესს, ჰკერავს, ქსოვს და სხვანაირად მუშაობს. მართი სიტყვით, ის აკეთებს ყველაფერს,

ხლობს და მოსამსახურებს და სთხოვდა პოლიციას, არვის დააბრალოს იმის მოკვლა. „მე მოვიკალ თავი, სწერდა ის, იმიტომ რომ სიცოცხლე მომეზრდა... ძალი სერიანს ქვეყანაზე ვერაფერს ვერ გააკეთებს. რასაც არ მოჰკიდებ ხელს, ყველაფერი საშავლად გამოდის...“ დედა მისმა სთქვა, რომ უკანასკნელ დროს ხშირად გაუგონია იმას მაგ გვარი სიტყვები მიცვალებულისაგან; ის ატყობდა, რომ იმას მოზებრდა ყველაფერი, რაც კი წინეთ ეხალისებოდა.

ისტალინის სახლობას შეადგენდა: დედა, პატარა და, რომელიც სწავლულობდა ქალების გიმნაზიაში და ძმა, რომელიც სწავლულობდა კორპუსში. მსუთმეტი წლისა რომ იყო, იმას მოუყვდა მამა.

მერა ისტალინისა სამავალითა ქალათ მიანდით ჩვენ ქალაქში, თუმცა „ნიგლისტკას“ კი ეძახდნენ. მომეტებულ ნაწილ დროს ტარებდა ან საკერავში, ქარგვაში და ჰყიდდა თავის მამუშავარს, ან სწერდა სტუდენტების ლექციებს. დანარჩენ დროს ატარებდა კითხვაში და ბუნებითი საგნების სწავლაში. მამა მოკლეთ ჰქონდა მოკრეპილი. შვი, გრძელკბას იცვამდა. იმის სტოლზე ეწყო ჩოხტის, მოღვემოტის, ღარინის, მილის და სხვების თხზულებები. შრომის მოყვარეობისთვის ყველა პატივს სცემდა მერას, მით უფრო რომ არაფერი გაჭირებდა არ ჰქონდა და არაფერ ძალას არ ატანდა, რადგან შეძლებულები იყვნენ.— მართი მიზეზით თუ მოკვდებოდა, მაგრამ

რაც კი აუცილებლად და არა აუცილებლად საჭიროა მთელი საზოგადოებისთვის; ეს არის მწარმოებელი ნაწილი საზოგადოებისა. მეორე ნაწილი ამავე საზოგადოებისა ჰყიდულობს და ხმარობს იმ საგნებსა, რომელიც პირველმა აწარმოვა, ანუ მოიყვანა. ეს უკანასკნელი ნაწილი საზოგადოებისა არის მომხმარებელი, ე. ი. ისეთი ნაწილი, რომელიც ხმარობს და სარგებლობს მწარმოებლების შრომითა. რასაკვირველია, ძალიან ხშირად ერთი და იგივე პირი ერთსა და იმავე დროს მწარმოებელიც არის და მომხმარებელიც; მაგ. მიწის ღეშ-გლეხი, რომელსაც პური და ჭაღი მოჰყავს და რომელიც თავის ხამუშავრის ერთს ნაწილს მიიღებს თვითონვე ხმარობს, მწარმოებელიც და მომხმარებელიც არის. აგრეთვე ყოველი მოხელე კაცი, უეჭველია, რასმე აკეთებს და იმავე დროს კიდევ ხმარობს თავის სარჩენათ. მაგრამ არ შეიძლება კაცმა თქვას, რომ ყოველი მომხმარებელი იმავე დროს მწარმოებელიც იყოს. საითაც ჰსურს, იქით მიიხედოს მკითხველმა და ყველგან ბევრს ნახავს ისეთ პირებს, რომელნიც სკამენ, სმენ, იცმენ, იხურვენ, ერთი სიტყვით, ხმარობენ სხვის ნაწარმოებ ნივთებს, მაგრამ თვითონ კი არაფერს არ აწარმოებენ, არაფერს არ აკეთებენ.

მკითხველი უჩვენოთაც გაიგებს იმ ეკონომიურ ქეშმარტებას, რომ, რაც უფრო მომეტებული მწარმოებელი, ანუ მწარმოებელი არის რომელსამე საზოგადოებაში, ან ქვეყანაში, მით ეს ქვეყანა და საზოგადოება უფრო ბე-

ეს საქმე ძალიან დიდი ხნისა იყო: შეიძლება წელიწადის წინათ, როცა მერა შეიღმეტი წლისა იყო, იმას უყვარდა ბუნებითი საგნების ფოკულტეტის სტუდენტი— ლიოპკი. ლიოპკის განცხადებით მერა იყო უბრალო და კეთილი ქალი; მაგრამ გაიცნო თუ არა ეს სტუდენტი, სრულიად შეიცვალა. ამ დროიდან დაიწყო ბუნებითი საგნების სწავლა და უფრო ჩაფიქრებული შეიქნა. ლიოპკის ძალიან მოსწონდა მერა. როცა თავის ხასიათზე გაასწავლა და დააყენა გახსნაში თავის თანასწორეთ, ცოლობა სთხოვა. ჯერ დედა და ნათესაობა ძალიან უშლიდნენ იმის შერთვას, რადგან ლიოპკი გლეხ-კაცის შვილი იყო და ღარიბი; მაგრამ მერამ მიიღო თავისი გაიტანა და ისინი დინიშნენ. შეასრულა თუ არა ლიოპკიმ სწავლა უნივერსიტეტში, წავიდა თავის დედის სანახაუთ; გზაზე გაცივდა, გახდა აეთ და მოკვდა. მერამ მიიღო უკან თავის ნაწილს ბეჭედი; იმ დროიდან ჩაიკვა შავი კბა და დაიწყო უმიღლო სიცოცხლით ცხოვრება. საყვარელი კაცის დაკარგვა მერასთვის ძალიან ძნელი იყო, მაგრამ ის არ მიეცა დიდ ნაღველსა და ძალიან გულმ-გრათ ითმენდა. დედას ეგონა, რომ, თუ მერა შეგებდა კარგი კაცი, გათხოვებოდა, იმიტომ რომ იმას ლიოპკი ისე მომეტებულით არ უყვარდა, როგორც პატივს სცემდა და უყვირდა იმის ხასიათი, ჰკუა და პატიოსნური ფიქრებით.

მერა ყველაფერს უჯეროდა ლიოპკის და ეგონა, რომ ის ცხოვრების გზა რომელიც

დნიერი და წარჩინებულია ყოველი მხრითა (რასაკვირველია, ჩვენ ვიგულისხმებთ აქ ისეთს მწარმოებლებს, რომელთ შრომა და ნაწარმოები საგნები პირდაპირ გამოასადგვია საზოგადოებისთვის. შევეყანაზე ისეთი კაცი არ მოიბოვება, რომელიც რამე არ აკეთებდეს, როგორმე არა შრომობდეს; საქმე ისაა, რომ იმის შრომა, იმის ნაწარმოები, საზოგადოებრივი გამოსადგეი იყოს). მეორე მხრით, რაც უფრო მეტი მართა მომხმარებლები და ნაკლები მწარმოებლები, სხვა ნაირად ვთქვათ, რაც უფრო მეტი მუქტი-მწარმოებელი და მუქტი-მუქტი-მელია საზოგადოებაში, მით ეს საზოგადოება უფრო ღარიბი და უკან დაწეული იქნება. ამიტომაც კაცობრიობა სრულ ბედნიერებას მხოლოდ მაშინ მიაღწევს, როდესაც ყოველი ადამიანი იმდენს მოიხმარს თავის ცხოვრებისთვის, რამდონსაც თვითონ მოიწევს, რამდენსაც იმუშავებს. სანამ ერთი ნაწილი საზოგადოებისა მუშაობს, ოფლსა ღერის და მეორე კი გულ-ხელ დაკრეფილი, მუხლ-მოკეცილი ზის და ამ მწარმოების ნაოფლარსა სკამს, მანამ ამ საზოგადოების კეთილდღეობა შეუძლებელი საქმეა. ეს არის ეკონომიური კანონი, ეკონომიური ქეშმარტება.

ათასი სხვა და სხვა გარემოებები და უპირველესი იმათგანი-უმეტრება რომ არ უშლიდეს კაცს ამ ქეშმარტების აღსრულებას, მაშინ დედა-მიწაზე არ იქნებოდა ისეთი სიღარიბე და არ მოინახებოდნენ იმდენი ულუკმაპურო და უჩიწა-წყლო კაცები, რამდენიც ახლა მოიბოვებიან.

იმან უჩვენა, ყველაზე კარგი და უნაკლები იყო, და იმიტომ ისე გაუსჯელათ მი დედა იმ გზას. ამ ნაირი მერას რწმუნება ლიოპკისა დასაჯერი იქნება მაშინ, როცა შეეიტყობთ, რომ მერამ შეასრულა სწავლა მხოლოდ პატარა შკოლაში. მერა იყო ბუნებით კეთილი გულის ახალგაზდა, რომელიც ყოველთვის კარგს ნაყოფს აძლევს, თუ მთავსევილი კარგია. ლიოპკი იყო ნასწავლი, ქვეიანი და კარგი მოლაპარაკე კაცი. თუმცა მერა არ იყო ნასწავლი და ქვეითი გახსნილი, მაგრამ გრძობდა, რომ ლიოპკი უფრო ქვეიანი იყო იმ ხალხზე, რომელშიაც ის ტრიალობდა; ის არ პოულობდა იმაში იმ სისამაგლეს, რომელსაც სხვებში ჰხედავდა. მართლა, რას აკეთებდა ხალხი ჩვენს გუბერნიის ქალაქში? სკამდნენ, სემდნენ, ეძინათ და ამბავტანიობდნენ ერთი ერთმანეთში.

მერას არ უყვარდა თავის დარდის და სიხარულის სხვასთან გაზიარება. როცა მერა შეეიტყობდა რომელიმე ხალ აზრს, ის ყოველთვის ერთბაშად ვერ გაიგებდა, მაგრამ ერთხელვე თუ ჩაითქვამდა გულში ამ აზრს, სულ ეზრდ ბოდა და თუ მოეწონებოდა საქმეზე, თვით ცხოვრებაში. შინჯავდა. შოველ ახალ აზრს მერა მართა ლიოპკისაგან შეიტყობდა ხოლმე. ხშირად ისინი შეიყრებოდნენ და ლაპარაკობდნენ შრომაზე, მეტადრე ქალის შრომაზე, პატიოსნებაზე, ბუნებითი საგნების სარგებლობაზე და სხვა.

ლიოპკი კარგი კაცი იყო, მაგრამ გამოუ-

რადგან, როგორც ზევით ვთქვით, შრომა ხშირად ძალიან ნაკლებად ასაჩუქრებს მშრომელსა და მცირედ ღონის-ძიებას აძლევს ცხოვრებისას, ამიტომ უკანასკნელ დროს მეროპაში და განსაკუთრებით ბერმანიაში მიმართეს ერთ საშუალებას, რომელზედაც მოკლეთ ვიტყვით რამდონსამე სიტყვას.—რომელსამე ქალაქში შეიკრიბებიან ერთად რამდენიმე პირი, შეძლებისამებრ გამოიღებენ ფულსსა და შეადგენენ ჯერ პატარა ამხანაგობას; ამ ამხანაგობაში ერთს წევრს ამირჩევენ, რომელსაც შეიკრიბილი ფულებით პატარა დუქნის გახსნას მიანდობენ. დუქანში უნდა იყოს ყველაფერი, რაც კი აუცილებლათ საქაროა კაცისათვის, მაგ. პური, ღვინო, ტანისამოსი და სხ. შოველ საქონელს დუქნის პატრონი პირდაპირ მწარმოებლისაგან ჰყიდულობს, ამიტომ რომ იქილამ უფრო იაფათაჲ და უკეთესი საქონელიც გამოაქვს. ამ დუქანში საქონლის ყიდვა ზოგან მარტო ამხანაგობის წევრებს შეუძლია და ზოგან კი ყველას, ვინც კი ისურვებს. მანსხვავება ამ ორ გვარ მყიდველებში ის არის, რომ ამხანაგობის წევრს მდუქნე დანიშნული სარგებლის მეტს ვერ გამოართმევს ყიდვის დროს და გარეშე კაცს კი იმ ფასს გამოართმევს, რომელსაც სხვა მდუქნეები იღებენ. წელიწადში ერთხელ, ორჯერ და რამდენჯერმე ყოველთვის შეიკრიბებიან ამხანაგობის წევრები და იმათი კასსირი ან მდუქნე წარუდგენს იმათ ანგარიშს—თუ რამდენი შემოსავალი და გასავალი იყო და რამდენი დარჩა. მანსხვავება ამ გვარ და ჩვეულებრივ დუქნებს შუა ის არის, რომ რაც შემოსავალი დარჩება ეპრობისაგან, იმას ამხანაგობის ყველა წევრები იყოფენ ერთმანეთში, იმისდა გვართ რამდენიც ამ დუქანში წევრს საქონელი უყიდნია, ე. ი. ვთქვათ, რომელიმე წევრმა წელიწადში ასი მანეთის სხვა და სხვა რამეები იყიდა ამ დუქანში და იმისაგან ათი მანეთი მოგება დარჩა დუქანს; წლის დამლევს, ანგარიშის დროს, ეს ათი მანეთი იმას უკანვე დაუბრუნდება. ზოგან კი ერთ ნაწილს სარგებლისას სტოვებენ და ამ ნაწილს კასსარს აკეთებენ და ამ კასსითაც აგრეთვე ამხანაგობის წევრები სარგებლობენ, დაჭირების დროს. ამ ნაწილს ამხანაგობას ეძახიან—**მოხმარებელი** და ის საზოგადოებას.

ცდელი მასწავლებელი. მე ნამდვილათ ვხედავდი, რომ მერას ლიოპის აზრები და სიტყვების შეხედულება მიელო. მე ვიცნობდი მერას და ძალიან მომწონდა. ის იყო ოცდა ხუთი წლისა, მაგრამ თერამეტი წლის ქალის შეხედულება ჰქონდა. ძეთილი და ნარნარა ლურჯი თვალები, რომლებსაც მე აღრე სიამოვნებით შევეცქეროდი, ვხლასაუკუნოთ დახუტულიყვნენ. სოტა ხუტუქ და მოწითალო თებზე დედას გაეკეთა ეარდების გვირგვინი; გულზე დაერქო ვარდი. პატარა, რგვალი შუბლი შექმუხნილი ჰქონდა, თითქო რალაზედაც ფიქრობდა... რაზედ?... მე ვცდილობდი გამეცნო ყველა მერას ნაცნობები, რომ იმადგან მაინც შემეტყურო. მერას ნაცნობებში მე მხოლოდ ბოროხოვს არ ვიცნობდი, რომელიც ბოლო დროს ხშირად დაიარებოდა ისტალიანისას. მრთ ზაფხულ ბოროხოვი იმათ მიიპატიჟეს პატარა ეავის მასწავლებლათ. ბოროხოვი ჩვენი ქალაქის მცხოვრები იყო. მამისაგან დატრავებული სიმღიდრე მიუტოვა თავის დედას და დებს, და თვითონ სხვა და სხვა ალავს მასწავლებლათ დგებოდა; და ხანდისხან ჩვენ ქალაქში გამოჩნდებოდა ნათესაების სანახათ. ის იყო ოცდა თხუთმეტი წლის კაცი. იმას ჰქონდა ყვავილისაგან და ქორფლისაგან გაფუჭებული სახე, დიდი ცხვირი, მოწითალო წვერ-ულვაში; იმის შავი, ჩაფარნილი თვალები ძალიან ჯაფრიანათ გამოცქეროდნენ. თუმც ბოროხოვი არაფრით არ ჰშვენიდა, მაგრამ არც

ინგლისში და განსაკუთრებით ბერმანიაში ამისთანა საზოგადოებები მუშა-ხალხში უფრო გავრცელებული. მისაც აუკანასკნელ დროს რუსეთის შინაგან ცხოვრებისთვის უღვენბია თვალ-ყური, ის ღიბნახედა, რომ ამ ხნებში „მომხმარებლების საზოგადოებები“ რუსეთშიაც ძალიან ვახშირდა. (მრთი ამნაირი საზოგადოება ჩვენს ოფილისშიაც არის). მაგრამ შესანიშნავია, რომ რუსეთში ამისთანა საზოგადოებებს თითქმის მხოლოდ მოსამსახურე კაცები და საზოგადოთ საშუალო წოდების პირები ადგენენ ხოლმე.

იმაზე—მოაქვს თუარა საზოგადოება ანაირ საზოგადოებებს და თუ მოაქვს, ბევრი თუ ცოტა, —ჩვენ შემდეგში მოვილაპარაკებთ. ახლა კი ჩვენ გვინდა გვაცნოთ მკითხველი მეორე გვარ საზოგადოებებს, რომელნიც ჩვენთვის და საზოგადოთ ყველასთვის უფრო შესანიშნავი და ყურადღების ღირსი არიან და რომელნიც, საუბედუროთ, ისე არ არიან ჯერ არსად გავრცელებულნი, როგორც „მომხმარებელი საზოგადოებები“.

„მომხმარებელი საზოგადოებების“ წევრები ჰყიდულობენ და ხმარობენ იმ საგნებს, რომელნიც სხვებისგან არიან გაეკეთებულნი, ნაწარმოები; მაშასადამე ეს სხვები ცოტას, თუ ბევრს სარგებლობას იღებენ იმათგან. თუ მჩქეჭმეს, მაგალითად, წაღები სამ მანეთად დაუჯდა, ის, უტყველია, ოთხ ან ხუთ მანეთ ნაკლებ არ მისცემს მყიდველს. მაშასადამე ის სამ მანეთში მანეთს, ხშირათ მეტსაც იგებს. თუ მჩქეჭმე თვითან შრომობს, იმას, რასაკვირველია, ერგება შრომის ფასი. მაგრამ საქმეც ის არის, რომ ხშირათ ოსტატები თვითონ არ მუშაობენ; ისინი ამუშავენ რამდონსამე შაგირდს და იმათი შრომით თვითონ სარგებლობენ. ინგლისში, საფრანგეთში, ბერმანიაში და სხ. მეროპის ქვეყნებში ზოგიერთს ქარხანაში და ფაბრიკაში ათასი და ათი ათასი მუშაკაცი, ქალი და ბავშვი მუშაობს. ამისთანა ქარხნების და ფაბრიკების გამართვა, რასაკვირველია, მხოლოდ ისეთს პირებს შეუძლიან, რომელთაც საკმაო ფულები აქვთ. ისინი მომეტებულ ნაწილათ თვითონ არაფერს არ აკეთებენ; იმათ მხოლოდ ფულები დაუხარჯავენ ფაბრიკის გამართვაში; მაგრამ რა სარგებელს იღებენ მის მაგიერ ამ კაპი-

შეხედულება და არც მიხრა-მოხრა მისი არ იყო საზარელი.

იმის გაცნობა, ხასიათისა და აზრების შეტყობა ძალიან ძნელი იყო, იმიტომ რომ არა ვისთან არ უნდოდა საქმის დაქერა და შეგობრობა. მაგრამ ბოლოს, ბევრი მეცადინეობის შემდეგ, გავიციანი და შევიტყე ერთი ცუდი ბოროხოვის ჩვეულება. ის სვამდა და სიმთვრალეში, როგორც მოგვხსენებთ, ხშირათ საიღუმლოსაც წარმოსთქვამს კაცი. ამ თავის ჩვეულებას ძალიან ემდუროდა ბოროხოვი, მაგრამ ზოგჯერ კი მადრიელი ვარ, ამბობდა ის, ამ ჩვეულებისაო ხანდისხან ისე მოწყენილი ვარ, რომ არ ვიცი—სად დავიკარგო ხოლმე. მე ისე ნასწავლი არა ვარ, რომ ყოველთვის შემეძლოს საქმეში გავერთო; მომეტებული სხვა საქმეც არა მაქვს, არც მეურნეობა შემეძლიან და არც ლიტერატურაში ვართობა, არაფერი ხელოვნება არ ვიცი, მასწავლებლობასაც არ უნდებია მომეტებული. დრო რაუყო დანარჩენ დროს? როცა ათას ნაირ უფუნურობას და უსამართლოებას ვხედავ ქვეყანაზედ, ხანდის—ხან ისე მომწყენდება, რომ საქირთო ვგრძნობ დავიწყებას მივცე თავი და გავმხიარულდე. აი, ამ შემთხვევაში მშველის მე არაყი. სიმთვრალის შემდეგ რო გამომდევძება, დილით, მე სხულის ავთომყოფობას ვგრძნობ და არა ზნეობითს, გონებისასა. მე მიხდოდა სადმე მენახა და მელაპარაკნა იმასთან, იმ დროს როცა ცოტათი გადაკრულში იყო; ამიტომ რომ მაშინ

ტალში! იმ მუშას, რომელიც შეიძლება დღეში სამი მანეთის საქმეს აკეთებს, ბევრი-ბევრი მექარხნე მანეთს თუ მისცეს; დანარჩენი თვის კაპიტლის სარგებლათ მიაქვს.

წარმოადგინეთ ახლა, რამდენი შემოსავალი ექნება იმ მექარხნეებს, რომლებს ფაბრიკაში მუდამ დღე ორი ან სამი ათასი კაცი მუშაობს! (ამისთანა მექარხნეები ძალიან ხშირათ მოიხსენება ინგლისში, საფრანგეთში და სხვა მეროპის და ამერიკის სახელმწიფოებში). ახლა ისიც წარმოადგინეთ, რამდენათ გავითვლებოდა მუშა-ხალხის მდგომარეობა, ნამდვილი ფასი თავიანთი შრომისა რომ სრულათ ეძლეოდეთ იმათა.

მწარმოებელი საზოგადოებების და დანიშნულება ისარის, რომ მუშა-ხალხს მიეცეს შეძლება თავის შრომის ღირსეულათ დასაჩუქრებისა. მეროპაში რამდენიმე მწარმოებელი საზოგადოებები არის და ყველა იმათგანის მაგალითი გვიმტკიცებს, რომ ისინი ბევრათ უფრო გამოსადგენი არიან მუშა-ხალხისათვის, ვიდრე „მომხმარებელი საზოგადოებები“. ეს საზოგადოებებიც ისე იმართებიან, როგორც „მომხმარებლები“. რამდენიმე ერთ გვარი მოხელე მუშები, მაგალითათ ვთქვათ, მაულის მკეთებლები, შეიკრიბებიან ერთად, გამოიღებენ ფულსს, ჰყიდულობენ, ან მმართველ ახალ ქარხანას და ერთად მუშაობენ. შემოსავალი რაც იქნება, წელიწადში ერთხელ ან ორჯერ შეიკრიბებიან და ყველა წევრები თანსწორათ იყოფენ. ნათლათ სჩანს, რომ ამ შემთხვევაში ღირსი მუშების შრომას ვერაინ ვერ შესჯამს, რადგან, რაც გასავლის გარდა დარჩებათ; თვითონვე მიაქვთ. მაგრამ ამნაირი საზოგადოებების გამართვას ბევრი დამბარკოლებელი მიზეზები უდგას წინ. პირველი და უმთავრეს დამბარკოლება ის არის, რომ ახლანდელ დროში თითქმის ყოველგან მუშა-ხალხი ძალიან ღირსიბია; მაშასადამე ის ვერ მოახერხებს იმდენი ფულების შეკრებას, რომ ამ ფულეებით საკუთარი ქარხნებისა და ფაბრიკების გახსნა შეეძლოს. ამ შემთხვევაში, როგორც ლასალიც ურჩევს, სახელმწიფო ვალდებულია ხელი მოუშაროს მუშა-ხალხსა; თორემ მარტო საკუთარი ღონის-ძიებით მუშა-ხალხი ვერ შეიძლებს კაპიტალისტების დამოკიდებულებისაგან განთავისუფლებას.

ყველაფერს გამოთქვამდა, რაც გულში ჰქონდა. ჩემს ბედზეთ ამისთანა შემთხვევა მალე ენახე.

მერას სიკვდილის შემდგომ სამმა თვემ გაარა. მრთ საღამოს მე დავხეტებოდი ქალაქის გარეშე და რალაც ნაირათ შევიარე იქაურს სასაფლაოზე, სასაფლაო ქვის კვდლით იყო შემორტყმული; ზოგჯერ აქ ქალაქის მცხოვრებლები სასიერნოთ და ერთმანეთის სანახათ დაიარებოდნენ. ამ დროს მე არაინ შემხვდა, ძარვა ხანი ვკითხულობდი მე საფლავის ქვების ზედწარწერილებსა; ბოლოს მოვბრუნდი სასაფლაოს კარისკენ, შინ წასასვლელათ; გავიხედე და პირდაპირ ბოროხოვი დავინახე.

მუდ მოხდელი იჯდა ის ერთს ახალ საფლაოზე, დაფიქრებული და სიგარას სწევდა.— აა! მშვიდობა თქვენი ნახე! უთხარი მე და ხელი გაუშვირე.—იქნება მარტო ყოფნა გინდათ და დაფიქრეთ?

— სრულებითაც არა. მე ეხლა შინ წასვლას ემზადებოდი.

— ეს ხო ისტალიანს სამარეა, უნებლიეთ წამოვიძახე მე, როცა შეხედე შავი ჯვარს, რომელზედაც მიცვალებულის სახელი, და მისი წლოვანება ეწერა.

— ღიბ, მისი ვახლავს.

— საკვირველია იმის სიკვდილის მიზეზი, გავარძილე მე და მოუჯექ ბოროხოვს გვერდით.

— არც ძალიან გასაკვირვებია; მე ვიცი

რამდენიმე წელიწადია არსებობს ჩვენში ძახელი მებატონების მწარმოებელი საზოგადოება, რომელიც ღებნაწილად მარამ, სამწუხაროთ, ჩვენ არ ვიცით—როგორა აქეთ იმათ გამართული საქმეები და ან ეპრობა კარვათ მიუღიოთ, თუ ცუდათ. ამას გარდა ამ ხნებში ჩვენ გავიგონეთ, რომ ოფილისში სდგებოა მეორე საზოგადოება აგრეთვე მებატონებისა (მაგონი, ქართლელი მებატონებისა), რომელიც ღვინის გარდა პურითაც ამირებს ეპრობასაო.

ამ უკანასკნელ საგანზედ, იმელი გვაქვს მოკლე ხანში მოვილაპარაკოთ ჩვენ მკითხველებსა.

*მწერის ხელმოწერა*

**ომის აზრები**

პეტერბურლის გაზეთებში დაწერილებით არის აწერილი უკანასკნელი ომის ამბები საფრანგეთსა და ბერმანიას შუა. მკითხველი საფრანგეთისთვის ვერაფერ სანუგეშოს ვერ შეიტყუბს ამ ამბებდამ: უკანასკნელი „ღრუების“ ნაშრომად შაიტყობდა ის, რომ პარიჟი კაპიტულაციით დაემორჩილა ნემცებს.—მას აქეთ რაც პარიჟსა და იმის გარეშე მოჭრტებს დაუშინეს ზარბაზნები, სულ 60 კაცამდი მოუკლავს თვითონ პარიჟში ყუმბარებსა; არც ბევრი სახლებია თურმე გაფუჭებული. მაშასადამე პარიჟის დამორჩილების მიზეზი ის კი არ ყოფილა, რომ იქაურ მცხოვრებლებს ბევრი ზიანი მისცემოდესთ ნემცების ზარბაზნებისაგან. ამის მიზეზი, როგორც გაზეთებში სწერენ, არის ერთი მხრით საზრდოს შემოკლება და მეორეს მხრით სუსტი და მოუხერხებელი მოქმედება იქაურთ დროებითი მმართველობისა.—პარიჟის არმიას ერთხელ კიდევ მოუხდომებია უკანასკნელათ ნემცების ჯარების ვაპობა და პარიჟის დახსნა. მოწველერიანის ჭოროტან, მერსალის პირდაპირ, ასი ათასი ფრანკოზი გამოსულა პარიჟდამ ნემცების თავს დასაცემად, მაგრამ, მთელი დღის ბრძოლის შემდეგ, ისინი დაუმარცხნით და უკან დაწეულან. ამბობენ, ეს იყო იმის მიზეზი, რომ ტროშუ იძულებული შექმნილა თავი დაენებებინა სამასხურისთვის. ამ დამარცხებას თვითონ პარიჟელებზედაც ძალიან ცუდი გავლენა ჰქონია; მაგრამ მორიგებაზე კ

ეს მიზეზი; თითონაც კი გამოთქო სიკვდილის წინათ დაწერილ წერილში.

— რა მიზეზია ვნა?

— „სიცოცხლე მოპებურდა!..“

— წინათ რატომ არ მოპებურდა ამნაირი სიცოცხლე?

— ღიბ, წინათ არ მოპებურდა და მერე—კი.

— რისთვის?

— იქნება იმიტომ რომ წინათ ის სრულებით არ სცხოვრობდა.

— როგორ თუ არა სცხოვრობდა, გამოცანას ხომ არ ამბობთ?

— წინეთ ის სცხოვრებდა პირუტყული ცხოვრებით და არა კაცურითა... ამ სიტყვის შემდგომ ბოროხოვი წამოდგა შინ წასასვლელათ.

— თქვენ ქალაქში მიდისართ? წავიდეთ ერთათ, ვთხოვე მე. რადგან უარის თქმა არ მიხერხდებოდა, ის დამეთანხმა. ბოროხოვს არყის სუნი უდიოდა. მე მიხდოდა შეედგომოდი ჩემ საქმეს და გამოამეტქმეინა რამე მერას სიკვდილზე; მაგრამ გზაზე არაფერი არა ვკითხე. ჩვენ ვლაპარაკობდით გუბერნიის ქალაქის ცხოვრებაზე, უნივერსიტეტზე და თანდათან ბოროხოვი ისე გაერთო ლაპარაკში, რომ, როდესაც მივიღეთ იმის სახლთან, თითონვე შემეპატიჟა სამასლაათოთ.

მ. მ. — ისა.

(მაგისტრებს შემდეგ № 5-ში.)

ვაჭრებს გარდა არაინი ჰქონდა. და მმარ-  
თებლობა რომ ამ დამარცხებას სასოწარკვე-  
თილებაში ჩაუვლია—ის ამტკიცებს, რომ მეო-  
რე დღესვე შულ-ჭაფრმა პარიჟის კაპიტულა-  
ციას მოლაპარაკებას მიჰყო ხელი.

პარიჟთან უფროსი საქმის წაყვანა კიდევ  
არაფერი: პროვინციებში რომ კარგათ ყოფი-  
ლიყო ფრანკუზების საქმე, იმათ კიდევ ექნე-  
ბოდათ გამარჯვების იმედი. მაგრამ იმათ უ-  
ხედურებაც ის არის, რომ პროვინციებშიაც  
თითქმის ყველა არმიები ფრანკუზებისა სრუ-  
ლიად დამარცხეს ამ უკანასკნელ ხანებში.  
შანზის (ლუარის) არმია ლე-მანთან დამარ-  
ცხა ჭრიდრის-ძარღვით; აღმოსავლეთის (ბურ-  
ბაის) არმია მანტუილში (ლენერალ მერდერის  
მოადგილე) სრულიად გაფანტა და შევიკა-  
რიის სამხედროებთან მიამწყვდია, როგორც  
ტელეგრაფით ვიცით; ჩრდილოეთის (ჟენერ-  
ბის) არმიის დამარცხებას აი როგორ სწერს  
ერთი ბელგიური გაზეთის კორესპონდენტი:  
„9 იანვარს მე ვიყავი მოწამე ჟენერბის არ-  
მიის დამარცხებისა. მართალი ვითხრობ; საში-  
ნელი სანახაფები ენახე მე ამ დღეს. მში-  
სოფ. ბუზინთან უნდა მომხდარიყო, რომე-  
ლიც არი საათის სავალია ამბობდნენ. მე დი-  
ლითვე დავიჭირე მამარეში ეკიპაჟი და წავე-  
დი ბრძოლის ველისაკენ. მზაზე თვალგადუ-  
წედენელი მინდვრები ნაციონალური გვარდი-  
ელებითა და სხვა სალდათებით იყო მოფენი-  
ლი. ახალგაზდა სალდათები დიდს ვაჭირე-  
ბით მიშლაურობდნენ კოჭებამდინ ტალახში;  
ზოგი იმათგანი შიგნით მოვლოდა და დალაღუ-  
ლობისაგან ვეღარც კი დგებოდა. ზოგი-  
ერთები ისე იყვნენ ტალახით მომურთული,  
რომ აღმინის სახეს ვერ გამოიცნობდა კა-  
ცი. ხუთი ევრი მეტი გავიარე ამ ნაირათ და-  
ქანცულს სალდათებში; ბოლოს გავიხედე და  
ერთი აფიცარი ჩემს პირდაპირ მოაქანებდა  
ცხენსა და „უკან! უკან! მოდიანო!“ მეძახოდა.  
„მინ მოდიან?“ „პრუსიელებო!“ დაიძახა. მე  
ჯერ არ დავიჯერე, მაგრამ როცა ზარბაზნის  
და თოფის ხმა გავიგონე, მაშინ კი დავრწმუნ-  
დი და მოვებრუნე ეკიპაჟი. ახლა კიდევ უფ-  
რო საშინელი სანახაფი იყვნენ ის სალდათები,  
რომელნიც გზაზე დაშვდნენ: შეიტყეს თუ  
არა რომ ისინი დამარცხეს, დაბრუნდნენ  
უკან და თავ დაუზოგავათ მირბოდნენ, მაგრამ  
ისე იყვნენ დაქანცულნი, რომ ერთ-ორ სა-  
ჟენს რომ გაიტყუდნენ, მერე ძირს ვარ-  
დებოდნენ, შეისვენებდნენ და კიდევ უკანა-  
სკნელ ძალას მოჰკრებდნენ და წამოხტებო-  
დნენ. ძალები ვარდებოდნენ ხოლმე სახლი-  
დამ და ქვეყანას აყრუებდნენ საზარტლის ყვი-  
რილითა. მე ორი დავარდნილი სალდათი  
ჩაივსი ეკიპაჟში და ორ საათზედ ამბარეში  
მივედი, სადაც იმ წამსვე ჩაესხედით რკინის  
გზის ვაგონში და გავიქცით ქალაქიდან.“

— პარიჟის კაპიტულაციის ამბავი ბორდო-  
ში 18 (30) იანვარს მისულა და ამ დღესვე  
იქაურმა მმართველობამ შემდეგი განცხადება  
გამოსცა: „ჩვენ შევიტყუეთ, რომ ინგლისურს  
გაზეთს „ტაიმსში“ დაბეჭდილია, ვითომც  
პარიჟი კაპიტულაციით ემორჩილება ნემცებს.  
ეს ამბავი სრულიად დასაჯერებელი არ არის;  
ბორდოს მმართველობა ვერ წარმოადგენს,  
რომ პარიჟის მმართველობა იმის და უკითხა-  
ვით მოახდენდა ამისთანა საქმეს. ჰერარსტა-  
ტით მოსულ წიგნებში ამ საქმეზე არაფერს  
არას წერენ. მოგვივა პარიჟიდან თუ არა დებე-  
შები, ჩვენ იმ წამსვე გამოვაცხადებთ სახალ-  
ხოთ.“

— პარიჟამ შემდეგი ამბავი მისულა ბრიუ-  
სელში: ბროშე იქნება მარტო პარიჟის ლუბე-  
რნატორათ, მის ნაცვლათ პარიჟის არმიის უფ-  
როსათ ლენერალი მინუა იქნება. მმართველო-  
ბის განკარგულებით პარიჟში ყველა კლუბები  
დაკეტეს. მრი გაზეთი „Reveil“ და „Combat“  
მოსავს. ჟოლურანს პოლიცია დაეძებს დასა-  
ჭერათ.

— ამ უკანასკნელ ხანებში მარტო სამხრე-  
თის (ბურბაის) არმიის მოკლეობა 10,000  
კაცი; ზოგი ამათგანი ბრძოლაში დახოცილა  
და ზოგი კი ნემცებს აუყვანიათ ტყვეთ.

— აი ტელეგრაფმა, რომელიც პრუსიის  
კოროლმა მისწერა თავის მეუღლეს პარიჟის  
აღებაზე და რომელიც „დროების“ წინა  
პე-ში შემოკლებით აყო დაბეჭდილია: „მე  
ს ა ლ ი, 17 (29) იანვარს. ბუზინ სალამს  
სამი კვირის მორიგების პირობა შევკარით.  
ლინიის ჯარი და მოძრავი გვარდია დატყე-  
ვებულია პარიჟში. ჩვენ დავიჭირეთ ყველა  
ჭორტები. ჩვენი ჯარები ისევ პარიჟის გარეთ  
იქნება; თოფ-იარაღის დაყრის შემდეგ ქალაქს  
შეუძლია საზრდო შემოიტანოს. მანამაწესებე-  
ლი კრება ორი კვირის განმავლობაში უნდა  
შეიკრიბოს ბორდოში. პროვინციებში არმი-  
ები თავ თავის ალაგას დარჩებიან.—ეს არის  
უპირველესი ჯილდო ჩვენი პატრიოტობისთვის,  
მამაცობისთვის და მსხვერპლისთვის. დაუმად-  
ლოთ ლმერთსა მოწყალეებისათვის. ლმერთმა  
ქნას, რომ მალე მშვიდობიანობა ჩამოეარდეს  
ჩვენში.“

— როგორც ტელეგრაფმაშია ნათქვამი,  
შულ-ჭაფრმა 19 თებერვლამდე შეჭრა ნემ-  
ცებთან მორიგების პირობა. ამ პირობის  
ძალით, მთელმა პარიჟის არმიამ ნაციონა-  
ლური გვარდიის გარდა 17 (29) იანვ. დაჭარა  
თოფ-იარაღი; ამ დღესვე, დილის ათ საათზე;  
ნემცების ჯარმა პარიჟის ჭორტები დაიჭირა.

— ბელგორთან დამარცხების შემდეგ,  
ბურბაის თავის მოკვლა მოუწოდებოდა; ის  
ისეთ ნაირათ არის თურმე დაჭირლი; რომ  
ძნელათ მორჩება.

— მრთს შიურინის გაზეთში აწერილია  
ლიჯონთან ბრძოლის ამბავი, რომელიც ამ  
თვის 9 (21) მოხდა. ლიჯონში ამ დროს  
იღვა ბარიბალი, რომელსაც რამდენჯერმე  
დაეცნენ ნემცი და ქალაქი ძლივს აიღეს

— პარიჟის კაპიტულაციის ამბავი ბორდო-  
ში 18 (30) იანვარს შეუტყუათ და იმ დღეს-  
ვე აუარებელი ხალხი იქაურ დიდ თეატრში  
შეკრებილა, ამ საქმეზე მოსალაპარაკებლათ.  
პრებს ერთხმათ გამოუცხადებოდა; რომ ნე-  
მცებთან მორიგება არ შეიძლება, მამბეტა  
ისევ მმართველობის წვერათ უნდა დარჩესო  
და; ბრძოლის გასაგრძელებლათ, უნდა დაწეს-  
დეს „საზოგადოების მხსნელი კამიტეტი“, რომ-  
ლის წევრები ყოველ საფრანგეთის დიდ ქა-  
ლაქში უნდა იყვნენ და სცდილობდნენ სამ-  
შობლოს დაცვისთვისო.—ლიონში კი მე-  
ორე დღესვე, 15 (27) იანვ., შეუტყუათ ეს  
ამბავი და, როგორც გაზეთებში იწერებოდა,  
იქაურ მუნიციპალიტეტსაც გადაუწყვეტია,  
რომ უკანასკნელ ღონის-ძიებამდე უნდა ეე-  
ბრძოლოთ მტერსაო. ამ გადაწყვეტილების  
გამოსაცხადებლათ სამი დეპუტატი გაუზღვენი-  
ათ ბორდოში.

### უცხო ქვეყნები

#### საზარბაზთი

ბორდოში იწერებოდა მენევის გაზეთში,  
რომ იანვრის 16-ს იქაურ დიდ თეატრში აუ-  
არებელი ხალხი მოგროვებულა. ამ კრებას  
შემდეგი გადაწყვეტილება წარუდგენია მმარ-  
თებლობისთვის დასამტკიცებლათ: „შოველი  
ლი საფრანგეთის მოქალაქე, რომელიც კი  
სამოც წელიწადს არ გადასულა, ვალდებუ-  
ლია გამოვიდეს ბრძოლის ველზედ, მამულის  
დასაცველათ. მმართველობამ ამ საქმისა-  
თვის უნდა აიღოს ვალათ ერთი მილიარდი  
ფრანკი. შოველიგარი მოხელე ხალხი უნდა და-  
ეხმაროს ჯარის დაიარაღებას. მანეთების გა-  
მოცემა უნდა მოისპოს. მოქალაქე, რომელიც  
რვა დღის განმავლობაში არ გამოცხადდება  
ჯარში, ჩაითვლება მამულის მოლაღატე და  
მუხანათად. მინც საფრანგეთიდან გაიქცევა,  
იმას ჩამოერთმევა რესპუბლიკის მოქალაქის

სახელი; ამ გვარ პირებს რესპუბლიკა წართ-  
მევს ყოველ ქონებასა და მიწას და საზოგადო-  
საქიროებისთვის მოიხმარს. მინც კოროლ მილ-  
ლელმს მოჰკლავს, ის მიიღებს საჩუქრათ—5  
მილიონ ფრანკს, ვინც ბისმარკს მოჰკლავს—  
4 მილიონ, მეკლენბურდის გერცოლის მოკვლა-  
ში—3 მილიონ ფრანკს; თითოეული პრინცის  
მოკვლისთვის მიეცემა საჩუქრათ—2 მილიონ და  
თითოეული შერმანიის პატარა თავადის მოკ-  
ვლისთვის—1 მილიონი.“

— ბროშეს მაგიერათ პარიჟის არმიის  
უფროსად დანიშნეს ლენერალი მინუა, რომ-  
ელმანც, 15 (27) იანვარს, შემდეგი პროკ-  
ლაშიცა გამოსცა: „მმართველობამ მომანდო  
მე არმიის უფროსობა. მე ვცისრულობ ძა-  
ლიან ძნელ თანამდებობას. მთხი თვეა; რაც  
ჩვენ გარს გვახვევიან ნემცები და პარიჟში  
დამწყვედულნი ვართ. ამ ჟამად ჩვენი მდგო-  
მარეობა ძნელია. საუბედუროთ, პარიჟშიც  
არეულობა ხდება. ღარწმუნებული ვარ, რომ  
ყოველი კითხლ-გონიერი მოქალაქე, არმია  
და ნაციონალური გვარდია დამხმარება მე წე-  
სიერების დაცვაში და პარიჟის განთავისუფლე-  
ბაში.“

— პარიჟის ოფიციალურს გაზეთში სწერენ,  
რომ 12 (24) იანვარს პარიჟში არეულობა  
მომხდარა; რამდენიმე ასი კაცი დატყუა მზა-  
სის სატუსაღოს და ჟოლურანსი და სხვა პო-  
ლიტიკურ საქმეებში გარეული დამნაშავეები  
გაუთავისუფლებია. აქედამ ისინი წასულან  
ერთს პარიჟის უბანში და იქ ნდომებიათ გა-  
მაგრება, მაგრამ ნაციონალურ გვარდიას გაუ-  
ფანტავს ისინი. მეორე დღეს, როცა მმართვე-  
ლობის წევრები რატუში იყვნენ მოსალა-  
პარაკებლათ, აუარებელი ხალხი შეიკრიბა ამ  
სახლის წინ, მიედანზე, მაგრამ თავდაპირვე-  
ლათ არც ხმაურობა ყოფილა და არც ძალ-  
დატანებითი რამ მოქმედება მოუხდინათ. ამ  
დროს 150 ნაციონალური გვარდიის სალდა-  
თები წამოდგნენ წინა და მობილის აფიცრებს  
დაუშინეს თოფები. შეიქნა არეულობა, ყვი-  
რილი და თოფის სროლა, რომელიც ახლად  
მოსულმა ჯარმა დამშვიდა. ხუთი კაცი მოკ-  
ლეს და 18 დაჭრეს. ამ არეულობის მომხ-  
დენი 20 კაცი დაატუსაღეს.

#### ინგლისი

— მრთს ინგლისურს ჟურნალში დაბეჭდი-  
ლია დიდი სტატია ახლანდელს ომიანობაზე,  
რომელშიც სხვათა შორის აი რა სწერია:

„დიდი პატივის ცემის ღირსია საფრანგე-  
თის ხალხი, რომელმანც ამდენი სიმამაცე,  
თავ დაუზოგაობა და ენერგია გამოიჩინა  
თავის სამშობლოს დაცვაში. როგორ შეიძ-  
ლება გაკიცხოს კაცმა საფრანგეთი, იმისთვის  
რომ არ უნდა ისეთი პირობით დავმორჩი-  
ლოს მტერს, რომელიც შეარცხვენს და  
დამცირებს მთელ ხალხს. ზოგიერთი ჩვენი-  
ბური გაზეთები ურჩევენ ფრანკუზებს, რომ  
როგორც იქნება მოუროგდენ მტერსა. მრთს  
რასმე ვკითხავ მე იმათ: ამბობენ, რომ  
პრუსია როცა იქნება ინგლისის დაცემას  
აპირობსო; ამბობენ, რომ მოლტკეს შხათა  
აქვს ამ მომავალი ომის პლანგებო. მთქვათ,  
რომ ჩვენი საქმეც ისე უბედურათ წავიდა  
როგორც ახლა ფრანკუზებისა, და პრუსიელებ-  
მა აიღეს ლონდონი. ახლა ამ ზოგიერთ  
ჩვენ გაზეთებს ვკითხავ—თანხმა იქნებიან ისი-  
ნი, რომ ინგლისის მართველობამ ინგლისის  
ზოგაერთი მიწები დაუთმოს გამარჯვებულ  
მტერს, თუ უკანასკნელ ღონის-ძიებამდე  
ბრძოლას ირჩევენ? მავინსენოთ ლორდ  
ჩატამის სატყეები? მე რომ ამერიკელი ვყო-  
ფილიყავი და მტრის ჯარი რომ შემოსედა  
ჩემ ქვეყანას, გეფიცებით, რომ იმათ ვადენა-  
მდი, მე არასოდეს, არასოდეს, არასოდეს არ  
დავდებდი თოფ-იარაღს! მაშ რათ გვიკვირს  
ჩვენ, რომ ფრანკუზებიც ამავე გრძობით  
არიან აღგზნებულნი და შეჭვიცეს ერთმანეთს:  
„ან მოვედეთ, ან გავიმარჯვოთ?“ ჩვენ,

რომელნიც იმათ თავგანწირულ ბრძოლას  
შევეტყვით, გემართებს და შეგვედგეს მხო-  
ლოთ თანაგრძობა განუცხადებულნი ვყო-  
სურვოთ, რომ აღრე თუ გვიან თავის წადილი  
სასრულეში მოიყვანონ.“

#### გერმანია

ზრათ ბისმარკმა ყველა სახელმწიფოებს  
შეატყობინა; რომ პრუსიის კოროლმა—მილ-  
ლელმა—გერმანიის იმპერატორის ტიტული  
მიიღო. ამბობენ, ვითომც რუსეთის; ინგლი-  
სის, პესტრიის და იტალიის ხელმწიფეებს  
საკუთარი ხელნაწერი წიგნით შეატყობინა  
კოროლმა ეს ამბავიო.

—ზრათ ბისმარკის უკანასკნელს ცირკულია-  
რში სხვათა შორის შემდეგი სიტყვებია „საფ-  
რანგეთის ახლანდელ მმართველებს სრულიად  
არა ჰსურთ მორიგება; ამიტომაც ეს მმარე-  
ლობა არც ხალხის წარმომადგენლებსა და  
არც სტამბას არ აძლევს ნებას, რომ თავის  
აზრი წარმოესტყვან.“ აი რას ეუბნება ამაზე  
ბისმარკს ერთი ინგლისური გაზეთი: „რომე-  
ლი იაკობი დაატუსაღეს საფრანგეთში თავის  
უფლათ სიტყვის წარმოთქმისათვის? რომელი  
მორიგების მომხრე გაზეთი აღკრძალულია  
საფრანგეთში? მასაკვირველია ბისმარკის ამბა-  
ვი: საფრანგეთში ის თხოვლობს, რომ გაზე-  
თებსა, ჟურნალებს და საზოგადოებას თავის  
უფლათ შეეძლოს თავის აზრების წარ-  
მოთქმა და გერმანიაში კი სულ სხვა ნა-  
ირათ იქცევა. სჩანს, ბისმარკის სურვილი  
ის არის; რომ ყოველ სახელმწიფოში ჟურ-  
ნალებმა და გაზეთებმა თავისი საკუთარი  
აზრი კი არ წარმოესტყვან, წარმოესტყვან მხო-  
ლოთ ის აზრები, რომელნიც თვითონ გრ.  
ბისმარკს მოსწონს.“

—იმ აღრესზე, რომელიც კოროლ მილ-  
ლელმს მიართვა პრუსიის რეისტრამა, პოლ-  
შელ (პოზნანის) დეპუტატებს ხელი არ  
მოუწერიათ. პოზნანის დეპუტატმა შემანმა  
თავის თანამემამულეების მაგიერ, წარმო თქ-  
ვა ამის მიზნები; სხვათა შორის იმან სუქვა:  
„ჩვენ გვგონია, რომ ყოველ ხალხს უფლება  
აქვს თვითონვე განაგოს თავისი საკუთარი  
საქმეები და ამიტომ არ შეგვიძლია თანა-  
უფრძნოთ პრუსიის პოლიტიკის, რომელსაც  
მლზასისა და ლოტრანგის ძალათ მითვისება  
ჰსურს.“

#### ამ კვირის ტელეგრაფები

ს. პეტერბურგი, 22 იანვ. (ბორ-  
დოში) საფრანგეთის მმართველობამ გამო-  
სცა დეკრეტი, რომლის ძალით ახალი  
ჯარები უნდა დამზადდეს.

— მმართველობის მანამაწესებელი კრება  
ამოარჩევს პრეზიდენტს, რომელიც შეადგენს  
კაბინეტს (ე. ი. ახალ მინისტრებს დააყენებს);  
პრეზიდენტობაზე კანდიდატებათ არიან: შულ-  
ჭაფრი, მამბეტა და პიკარი.

ს. პეტერბ. 23 იანვ. ლიჯონი ისევ  
ნემცებმა დაიჭირეს.

ს. პეტერბ. 24 იანვ. ბარიბალი  
დაისწია ლიჯონიდან, რომელიც ნემცებმა  
აიღეს.

— ლაკლუზთან თხუთმეტი ათასი ფრანკუზი  
დაატყვევეს.

ბორდო და მ. ბისმარკმა გამოაცხადა, რომ  
ის არ ეთანხმება იმ დეკრეტს, რომელიც  
მმართველობამ გამოსცა ბორდოში და რომე-  
ლიც ახალი მმარელობის დაწესებას შეეხება.  
პოზნანის დამ (პოლშის ნაწილია, პრუ-  
სიის ეკუთვნის). მმართველობამ მოახდინა  
განკარგულება, რომ რაც პოზნანში თავისი-  
უფალი რეზერვის ჯარებია, საფრანგეთში  
უნდა წავიდესო.

ს. პეტერბ. 26 იანვ. ბორდო და მ.  
რადან საფრანგეთისა და პრუსიის მმართვე-  
ლობა ვერ მორიგდენ სამხრეთის სამხედროების  
დანიშვნაზე, ამის გამო ომიანობა არ შესწყდე-  
ბა.

ბელჯორში იყო დიდ ძალი კრება და ხალხმა გამოაცხადა, რომ უკანასკნელ ღონისძიებამდე უნდა ებრძოლა.

ბორდო დამ. მორჩილ ახალ პოლიციებს აღგენენ; ხალხი აღელვებულია; პრეფექტურასთან აუარებელი გუნდი გამბედავს მოვლის, რომელმანც ახალი ამბები უნდა შეატყობინოს იმასა.

ნემცები ღრობით მმართველობას დაადგენენ.

ს. პეტერბ. 27 იანვ. პარიჟი დამ. პარიჟის მმართველობამ მოსპო ბორდოს მმართველობის აღმორჩევითი დეკრეტი.

ლონდონი დამ. პრუსიელებმა დაიპყრეს ქ. ლონ-ლე-საონი.

ვენეცია დამ. ბრავ პოტოცი გამოვიდა სამსახურიდამ; ლონ-მირტმა შედგინა ახალი კაბინეტი მინისტრებისა.

ს. პეტერბ. 28 იანვ. ბელჯორის ორი ფორტი ნემცებმა აიღეს.

პარიჟის მმართველობამ გამოაცხადა, რომ შეიკრიბება თუ არა ბორდოში ნაციონალური კრება, ის იმწამსვე დაანებებს თავს სამსახურსა.

ს. პეტერბურდი, 27 იანვ. ბერლინი დამ. ბელჯორს ძალიან გახშირებულია უმეცნე ყუმბ რებს.

ვერსალი დამ. გამბეტა თავს ანებებს თანამდებობას.

### სამართლებლო

ბარჯის უწყებებს შეუტყვია, რომ ლონდონიდან პეტერბურდში მოსულა ამბავი, რომ შავი ზღვის საქმე, როგორც რუსეთს ჰსურდა, ისე გათავებულა. (მს იმას ნიშნავს, რომ შემდეგში რუსეთს უფლება ექნება, რამდენი სამხედრო ხომალდიც ჰსურს, იმდენი ეყოლოს შავ ზღვაში. ამას გარდა ექნება აგრეთვე უფლება შავი ზღვის ნაპირა ქალაქების გამაგრებისა).

26 ნოემბრის, 1864 წლის, ძველის კომიტეტის გადიწყვეტილებით, ერთი მილიონი და რვაასი ათასი მანეთი დაინიშნა ძველისაში გზების გასაკეთებლად და განსაკუთრებით ძაპისა და შავი ზღვის პორტების შესაერთებლად. ამ ფულგებდამ, როგორც ერთ რუსულ გაზეთს გაუგონია, ახლა მიუციათ კიდევ დიდი მთავრის ძველისის ნაშესტნიკის განკარგულებაში უკანასკნელ 150,000 მან.

ამ წელს აი რა გზების შეკეთებას აპირობენ ჩვენში: ბურისის მოსეს, ახალციხიდან აჭარაში რომ ქედი გადადის იმას; უნდა გააკეთონ აქ აგრეთვე ხიდები. მთლიანად სოფ. ბაღდადში კარგი გზა უნდა გაკეთდეს.

ძველისის სამოქალაქო მმართველობის გამოანგარიშებით, ამ წელს საგლსკაცო დაწესებავებისთვის შემდეგი გასაგებია დანიშნული: ბურისის პრისუსტიციებისთვის—68,579 მან. მომრიგე მოშუამდგომლებისთვის (მიროვი პოსტდენიკებისთვის)—132,000 მან. მომრიგე მოშუამდგომლების კანდიტებისთვის—14,000 მან.

ჩრდილოეთ ძველისაში გზების გასაკეთებლად, როგორც ერთ რუსულ გაზეთს გაუგონია, მმართველობას დაუნიშნავს წელს 300,000 მანეთი.

ამას წინათ „ლორებიდამ“ ამოიკითხავდა ორჯელ თუ სამჯერ ჩვენი მკითხველი ქართული წარმოდგენის ამბავსა. როგორც აქამომდე, აგრეთვე ახლაც, ამკირია ორმაბათს,

ამ თვის 25-ს მოხერხდა ქართული წარმოდგენა მინაურულათ აქაური გუბერნიის მარშლის მ. რევაზ ანდრონიკაშვილის სახლში. შეველა ჩვენთაგანმა უნდა დაუმაღლოს, რასაკვირველია, იმ პირთა, რომელნიც კისრულობენ და თავის შემწობას აძლევენ ამ ქართული წარმოდგენების მოხერხებას. მით უფრო უნდა დაუმაღლოთ, რომ ამ საქმეში ბევრი დამაბრკოლებელი მიზეზი გამოჩნდება ხოლმე, ზოგი მოულოდნელი და ზოგი კი უეჭველი. რაც უნდა იყოს, ხან და ხან იქნება რის ყოფითა და რის ამბავით მაინც ახერხებენ ქართულ სპექტაკლს, რომელიც ყოველთვის ბევრს სიამოვნებას აძლევს დამსწრე ხალხს. მრავალთს მთელისის გუბერნიის მარშლის ხალხში იყო წარმოდგენილი ორი პიესა: „ძალათ ექიმი—მოლიერისა და „ტივით მოგზაურობა ლიტერატორთა“—ანტონოვისა. აქ უნდა ვსთქვათ, რომ მეორე კომედია ძალიან კარგათ აღასრულეს მოთამაშებმა, მეტადრე უფ. შლად. აბაშიძემ, მას. მარხნიშვილმა და შლენე შიფინისამ. ანტონოვი იყო წაკითხული რამდენიმე ლექსი თავ. ბრ. მრ. ბელიანისა, ილ. შავეჭავაძისა და სხვ. მისურვებით, რომ შემდეგშიც არ დაზოგონ ამ სპექტაკლების მოთავე პირთა თავის შრომა და ენერჯია ამ საქმისთვის და იმედი გვაქვს, რაც უნდა დამაბრკოლებელი მიზეზები დახედნენ შემდეგშიც ამ საქმის აღსრულებაში მაინც სისრულეში მოიყვანენ. ამბობენ, რომ თეატრის სცენაზედ აქეთ იმედი მოახერხონ წარმოდგენა, რომლის შემოსავალი ქართველ სტუდენტების სასარგებლოთ იქნება დანიშნული.

ამ კვირაშივე, პარასკევს, ქართული სცენის მოყვარულებმა წარმოდგინეს თ. რევაზ ანდრონიკაშვილის სახლშივე კიდევ „ტივით მოგზაურობა“ და „ბაყრა.“ ამ დღეს, როგორც ჩვენ დაერწმუნდით, კიდევ უკეთ იყო წარმოდგენა და საზოგადოება ძალიან კმაყოფილი დარჩა.

### რუსეთი

პეტერბურდელი კარარესპონდენტი ერთი მოსკოვის გაზეთისა იწერება, ვითომც ამ, 1871, წელს ქალებსაც მიეცემათ ნება მედიკო-ხირურგიის აკადემიაში ლექციების სმენისა. შოველს ქალს, თუ შესაფერ ვგზამენს დაიჭერს, შეუძლია ლექტორების და დოქტორების დიპლომი მიიღოს, ისე როგორც კაცებსა. მისაც ამ აკადემიაში შესვლა ჰსურს, ვერ გიმნაზიის ვგზამენი უნდა დაიჭიროს. რადგან საფეკრებელია, რომ მსურველები ბევრი ამოჩნდებიან ქალებში, ამიტომ აკადემიის რჩევა მიიღებს მხოლოდ იმათ, რომელნიც გიმნაზიის ვგზამენს ძალიან კარგათ დაიჭერენ. აკადემიაში კურსის შესრულებისა და დიპლომის მიღების შემდეგ, ქალებს მხოლოდ ქალებისა და ყმაწვილების ექიმობის უფლება ექნებათ, აგრეთვე ბებიობაც შეუძლიანთ.

წლებიანდელ წლიდამ გამოდის პეტერბურდში ერთი ჟურნალი, სახელად: „სურათიანი ჟურნალი, თარგმანი საუკეთესო უცხო-ქვეყნელ მწერლებთა“. ამ ჟურნალის რედაქტორი არის ქალი—მარკო შოგროკი (მოგონილი სახელია). შესანიშნავი ამ ჟურნალის გამოცემაში ის არის, რომ როგორც რედაქტორათ და გამომცემლად, აგრეთვე თანამშრომლებად მხოლოდ ქალები არიან; პირველ წიგნიდამ და იმის დამატებიდამ სჩანს, რომ ისინი კარგათ წაიყვანენ საქმეს.

მდესის გაზეთში სწერენ, რომ ამ მოკლე ხანს იქ რამდენიმე ახალი სისტემის უშეცვლელი ზარბაზნები მიუზიდეთ რკინის გზითა. ამბობენ, ეს ზარბაზნები მერჩის სიმაგრისთვის არის დანიშნული.

1870 წელს მოსკოვის უნივერსიტეტში ყოფილა სულ-1,541 სტუდენტი; ამ რიცხვში—114 ისტორიკო-ფილოლოგიურ ფოკულტეტზე ყოფილა, 170—ბუნებითი მეცნიერების და მათემატიკის ფოკულტეტზე, 822 იურიდიულ ფოკულტეტზე და—235 მედიკურ ფოკულტეტზე.

პეტერბურდის უწყებების სიტყვით, ამ მოკლე ხანს პეტერბურდის ქალაქის სამმართველოში (დუმაში) იყო მოლაპარაკება იმაზე, შეიძლება თუ არა, რომ ქალიც ამოჩეულ იქნეს ამ სამმართველოს წევრათ (Гласный), თუ იმას იმდენი უძრავი ქონება აქვს, რამდენიც კანონით საჭიროა. მთხმაც და ექვს კაცში, რომელთაც უნდა გადაეწყვიტათ ეს საქმე, ოროც და თერამეტმა თქვა: არ შეიძლება, —და ოცდა რეამ-შეიძლება. რადგან ხმის უმეტესობა მოწინააღმდეგეებისკენ იყო, ამიტომ ქალებს ქალაქის შემოსავალ-გასავალში და რაჯანობის გამართვაში მონაწილეობის მიღების უფლება არ მიეცათ.

მარშეში შესდგა „მოსწავლე ყმაწვილების დამხმარებელი საზოგადოება“, რომლის მიზანი ის არის, რომ თუ უფლებითა და თუ სხვაგვარი შემწობითა ხელი მოუშართოს იქაურ შკოლებში, გიმნაზიებში და უნივერსიტეტში მოსწავლეებსა.

რუსის საზოგადოებას რომ რიგიანათ ესმის ხალხის განათლების სარგებლობა, ამას გვიმტკიცებს ის გარემოება, რომ ამ საზოგადოების უმეტესი ნაწილი ყოველი ღონით ხელს უშობთ ამ საქმეს. ამის მაგალითები ხშირათ მოგვიყვანია ჩვენ გაზეთში. ახლაც მოგვყავს ორი შესანიშნავი მაგალითი: ვაჭარმა ბალაგანმა შესწირა 350,000 მან. ძიევი უმაღლესი სასწავლებლის გასამართავათ. მეორე მდიდარმა-ნარიშკინმა—შესწირა ტომბოევი 300,000 მანეთი ისეთი სასწავლებლის გასამართავათ, საცა სოფლის შკოლებისთვის მასწავლებლები უნდა გამოიზარდონ.

უფშ. სინოდთან არის დანიშნული კომიტეტი, რომელმანც სასულიერო წოდების პირებისათვის ახალი სამართალი უნდა დაადგინოს. პეტერბურდის უწყებებს გაუგონია, რომ ამ კომიტეტის პროექტით, სასულიერო წოდების პირებისთვისაც ისეთი სამართალი უნდა დადგინონ, როგორც საზოგადოთ სამოქალაქო პირებისთვის არის.

### ნაკრები

მრთს რუსულ გაზეთში შემდეგ შესანიშნავ ამბებს იწერებიან სტამბოლიდამ სპარსეთის შაჰის მოგზაურობაზე: „შაჰი ისეთი სეიტით და ისე მდიდრულათ მოგზაურობდა შაბაში წმინდანების თავყენის საცემად, რომ, არა თუ ევროპელი, ოსმალცი ვერ წარმოდგენს. ძარის კაცებსა, ექიმებს და მოლღებს გარდა იმას თან-ახლად: დედა, ორმოცდა ხუთი ცოლი, ოთხმოცი მოახლი, ორმოცდა ათი შვილი და ოცდა ხუთმეტი გამღელი; თოთხმეტი ათასი ცხენი, ჯორი და აქლემი და ტვირთული იყო იმის ბარგითა! შაჰის მსლებლების კოვები ძვირფასი მატერიალისა იყო და თვითონ იმის კარავი ოქროთ ნაქსოვი და მარგალიტებით ნაჭარვი იყო!..“

როცა საფრანგეთს გაჭირება მიადგა, მრლენისა და ბურბონის დინასტიების პრინციები მივიდნენ ღრობით მმართველობასთან და სთხოვეს, ნება მოგვეცით, საფრანგეთს დავეხმაროთ. ამ ნართა, მამულის დაცვაში, იმათ უნდოდათ სახელის დამსახურება და ხალხის თანაგრძნობის მოპოება. სხვათა შორის შუანგილის (მრლენის) პრინცს შანზისთვის უთხოვეს იმას წინეთ, ლუარის არხიში ვოლონტერათ შეგების ნება. შანზი თავის მხრით დათანხმებულა, მაგრამ ამ დროს გამბეტას ბორდოდამ გამოუგზავნა ქანდარმები, რომელთაც დაუჭერათ, ბორდოში მიუყვანათ და სატუსალაში შეუმწყვედევით; მაგრამ ერთი კვირის შემდეგ, ტიერის უშამდგომლობით, შუანგილის პრინცი გაუთავისუფლებიათ, იმ პირობით რომ ინგლისში წასულიყო.

ამ წლის 1 იანვრიდამ ნემცების ჯარებმა სულ-345,045 ფრანკით დაატყვევეს მარშის-გუბერნი! ამ რიცხვში—11,167 აფიცრებად დატყვევდა მონაწილეთა კიდევ პარიჟის გარნიზონი, რომელიც აგრეთვე თითქმის სრულიად კაბიტულაციით დემორჩილა ნემცებსა. ასე რომ ნახევარი მილიონი ფრანკის ჯარი დატყვევებულია მერმანიაში და შორიდან უტყვრის თავის სამშობლოს დაღუპვას. ამ ჟამად ისეთი გასაოცარი ამბები ჰხდება, მკითხველო, დედამიწაზე, რომ ჩვენი შამომავალი ძნელათ დაიჯერებენ... ძნელათ დასჯერებელი არ არის, რომ რეას ათასმა წემეცმა თითქმის ნახევარი საფრანგეთი დაიპყრო! მინ დაიჯერებს, რომ ის საფრანგეთი, რომელშიც 40 მილიონი მცხოვრები იყო, რომელიც თითქმის უწარინებულესი და უგანათლებლესი ქვეყანა იყო, ასე დაეცემა, რომ რამდენიმე თვის განმავლობაში ერთი მილიონი ჯარი დაიმორჩილებდა იმას!

ნოვოროსიის უწყებებში სწერენ, რომ უფ. პორეცი, რომელმანც ქვის ნახშირის მაგიერათ ხომალდებისთვის ნავთის ხმარება მოიგონა, მდესაში არის და ახლა ერთი საშინელი ყუმბარა მოიგონა. მს ყუმბარა იმნართათ არის თურმე მოწყობილი, რომ უკან პატარა ნავით სავსე ბუშტი აქვს მიკრული; როცა ყუმბარა გამოვარდება ზარბაზნიდამ, ის თან ამ ბუშტსაც მიათრევს, რომელსაც ყუმბარის გახეთქის დროს წაეკიდება ცეცხლი და ნავთი ცეცხლის წინასავით ესხმება ძირს.

მრთ სადილზე ტომშუს მიუტანეს ისეთი კოტლეთი, რომელსაც სრულიად ცხერის ხორცის სუნი ჰქონდა. რისა ეს კატლეთი, დაუძახა მოსამსახურეს გაგულისებულმა ტომშუმ, —აკი ვითხარით, რომ ცხერის ხორცი სტოლზე არ მოიტანათ მეთქი! —უკარავათ, თქვენა უაღმატებულედაც, უპასუხა მსახურმა—თქვენ იმდენი ხანა მიირთმევთ ცხენის ხორცს, რომ ვიფიქრე სულ ერთნაირი საქმელი მოგწყინდებოდათ და ამიტომ დღეს ძაღლის ხორცი დაგიზადეთ! „ჰო! ეს სხვა ანგარიშია, თქვა ტომშუმ, მშენიერი კატლეთია; ზეალ ორი ამისთანა კატლეთი მომიტანე.“

ახირებული ამბავი მოხდა რუსეთის ერთს უგრდის ქალაქში: აქ სცხოვრებდნენ კარგათ და პატიოსნათ ერთი შემდებელი ცოლ-ქმარი. ქმარი თავადშილია, გადამდგარი კაბიტანი, და ცოლი ახალგაზდა, ლამაზი ქალი. მრთ დილას, ვნახოთ, ამ ცოლ-ქმარს შუა რაღაც უკმაყოფილება მოხდა; ქმარმა მივარდა ცოლის დასანამ ის გონზე მოვიდოდა, სტაცა კბილები ცხვირში და უეცრად მოკვნიტა ცხვირის ღუნღული... ამ საქმეზე გამოძიება დანიშნული. მთ ეს ქალი მართლა ახალგაზდა ქალი იყო და ამასთან მშენიერიც და ქმარი კი მოხუცებული, მაშინ ეს ახირებული ამბავი ადვილათ გასაგები იქნება. შესაძლებელია, რომ იქვიანობით გამაგებულმა ქმარმა ცოლის ცხვირი თავის რკათ მიიღო და იმის მოშორება მოინდომა...

### განცხადება

ისილება მთელის მართანოვის წიგნის მალაზიაში და ი. ბოგებაშვილისას.

### ქართული ანგანი

შედგენილი ი. ბოგებაშვილისაგან  
ფასი ორი რუბრი

### ბუნების ქარი

საკითხავი წიგნი მოსწავლეთათვის საქართველოს კარტითა შედგენილი ი. ბოგებაშვილისაგან.

ფასი სამი რუბრი და ერთი რუბრი

ალადათოვის მალაზიაში ისილება.

### გაგზავის მოკლა

დარიგება ყმაწვილების მოვლისა თხზულედა ინგლისის კოროლევის დოქტორის ძამბისა.  
ფასი ათი რუბრი